



შპს საქართველოს მელიორაცია

წლიური ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნები


2018 წელი

ზოგადი სარჩევი

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება.....	A
ფინანსური ანგარიშგება.....	11
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	14
დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე.....	14
დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე.....	17

წლიური ანგარიშის წარსადგენად დამტკიცება

წინამდებარე 2018 წლის წლიური ანგარიში: მმართველობითი ანგარიში (საქმიანობის მიმოხილვა) და ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შპს „საქართველოს მელიორაცია“-ის ხელმძღვანელობის მიერ:

თანამდებობა	სახელი, გვარი, ხელმოწერა	თარიღი
გენერალური დირექტორი	ბ.-ნი დავით წითლიძე 	23 სექ., 2019 წელი

სარჩევი

საქმიანობის მიმოხილვა	ii
ბიზნესის მოდელის მოკლე მიმოხილვა	v
რისკების ანალიზი	vii
წლიური ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი	ix

საქმიანობის მიმოხილვა

შპს საქართველოს მელიორაცია (ს/კ 204524568) (შემდგომში - კომპანია) შექმნილია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორია სახელმწიფო 100%-იანი წილობრივი მფლობელობით. პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარდა წილების პრივატიზებისა და/ან განკარგვის უფლებამოსილებებისა, რასაც ახორციელებს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

კომპანიის წესდების მიხედვით კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოებია:

- წილის მმართველი
- სამეთვალყურეო საბჭო
- გენერალური დირექტორი

სამეთვალყურეო საბჭო

შპს საქართველოს მელიორაციაში საქართველოს მთავრობის განკარგულებით (N1198 22.05.2019) შეიქმნა სამეთვალყურეო, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მართვის კოლეგიურ ორგანოს და შედგება სამი წევრისაგან, რომელიც აირჩევა კომპანიის წილის მმართველის მიერ სამი წლის ვადით.

სამეთვალყურეო საბჭო ;

- ახორციელებს კომპანიის საქმიანობის საერთო მეთვალყურეობას.
- აკონტროლებს გენერალური დირექტორის საქმიანობას და უფლებამოსილია გენერალურ დირექტორს მოთხოვოს კომპანიის საქმიანობის ანგარიში .
- საჭიროებისამებრ აკონტროლებს კომპანიის ფინანსურ დოკუმენტებს, ასევე ქონებრივ ობიექტებს.
- თანხმობას აძლევს გენერალურ დირექტორს წმინდა მოგების განაწილების შესახებ წინადადების წარდგენაზე.
- ამზადებს წინადადებებს ფილიალის ან/და შვილობილი საწარმოს შექმნის და ლიკვიდაციის შესახებ.
- განიხილავს საკითხებს ახალი ეკონომიკური საქმიანობის დაწყების ან/და არსებული საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.
- თანხმობას აძლევს კომპანიის გენერალურ დირექტორს კომპანიის ყოველწლიური სამოქმედო (ბიზნეს) გეგმის წილის მმართველის დასამტკიცებლად წარდგენაზე.
- თანხმობას აძლევს გენერალურ დირექტორს შესყიდვების გეგმის დამტკიცებაზე.
- თანხმობას აძლევს გენერალურ დირექტორს კომპანიის სტრუქტურის დამტკიცებაზე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამელიორაციო მომსახურების განხორციელება. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ თავმჯდომარის 2012 წლის 16 მარტის N1-3/191 ბრძანების საფუძველზე მოხდა შპს „კოლხეთი-მ“-ის, შპს „ალაზანი-მ“-ისა და შპს „მტკვარი-მ“-ის შპს „სიონი-მ“-თან შერწყმა. ამავე ბრძანების საფუძველზე შპს „სიონი-მ“-ს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა - შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წლის 29 აპრილის N2-101 ბრძანების საფუძველზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიას“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა შპს „საქართველოს მელიორაცია“. საწესდებო კაპიტალი შერწყმის პერიოდისათვის განსაზღვრული იყო 375 749 995 ლარის ოდენობით. მიმდინარე ეტაპზე შპს „საქართველოს მელიორაციის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 910 507 200 ლარს (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N 2-900 ბრძანება 18/09/2019).

სასოფლო-სამეურნეო მიწის მაღალი ფრაგმენტაციისა და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მაღალი ამორტიზაციის გამო, ქვეყანაში არსებობს ტერიტორიები, რომელთა საკმარისი სარწყავი წყლით უზრუნველყოფა ვერ ხერხდება და საჭიროა საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია. მიზანშეწონილია მოსავლიანობის ზრდა და მაღალი ხარისხისა და ღირებულების სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მოყვანის წახალისება ირიგაციის ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორც არის წვეთური და დაწვიმებითი სისტემები. საქართველოში უხვად არის წყლის რესურსი, თუმცა წყლის ხელმისაწვდომობა მკვეთრად იცვლება სეზონის მიხედვით. ამჟამად მოქმედი 8 საირიგაციო წყალსაცავი აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების წლიური ხარჯის 4%-ზე ნაკლებს იტევს. აღნიშნულმა გარემოებამ განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა ქვეყანაში წყლის რესურსების რეზერვების შექმნის მიზნით წყალსაცავების მშენებლობას. შემუშავდა ახალი წყალსაცავების მშენებლობის და მშენებლობადაუმთავრებელი წყალსაცავების მოწყობის გეგმა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფილი იქნება პრიორიტეტების გათვალისწინებით. ამას ემატება მთებზე არსებული თოვლის რეზერვი, მაგრამ ვინაიდან არ არის საკმარისი რეზერვუარების მოცულობა და თანდათან თოვლის საფარიც იკლებს მთებში, მოსალოდნელია წყლის ნაკლებობა სავეგეტაციო სეზონზე, როდესაც მაღალია წყალმოთხოვნილება და მდინარეებში წყლის ხარჯი მინიმალურია. ამჟამად ქვეყანაში არ არსებობს წყლის რესურსების განაწილების ოფიციალური სისტემა. სისტემების გაუმართავი მდგომარეობის გამო ბევრ ადგილას წყლის რეგულირება მხოლოდ წყლის გაშვება-გადაკეტვით და არხებში წყლის დონის მიახლოებითი კონტროლით შემოიფარგლება. ცვლილებები „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც ჯერ არ დამტკიცებულა, ითვალისწინებს წყლის ბუნებრივი ობიექტებიდან წყალაღებაზე ნებართვების გაცემას. ზედაპირული წყლების გარდა, საქართველო მდიდარია გრუნტის წყლებით, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სარწყავი მიზნებისათვის, კერძოდ, წვეთური რწყვის სისტემებისთვის. ზედაპირული და გრუნტის წყლების ჰიდროლოგიურ კვლევებს ხელს უშლის ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ფაქტიურად მოშლილია ჰიდროლოგიურ მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სისტემა.

ბოლო 7 წლის განმავლობაში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 244 სარეაბილიტაციო პროექტი განხორციელდა. აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 2684 კილომეტრ სამელიორაციო არხს, 31 სათავე ნაგებობას, 24 სატუმბ სადგურს; ტექნიკური ექსპლუატაციის ფარგლებში, მოწესრიგდა 8883 კილომეტრი სამელიორაციო არხი, შეკეთდა 8030 ჰიდროტექნიკური ნაგებობა. შედეგად, 2012 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი ქვეყანაში 45 000 ჰექტარიდან 127 000 ჰექტარამდე, ხოლო დრენირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი - 14 000 ჰექტარიდან 38 000 ჰექტარამდე გაიზარდა.

ამჟამად, კომპანიის მომსახურების არეალში ირიცხება 128 ერთეული სარწყავი სისტემა 1 822 კმ მაგისტრალური და 7 734 კმ გამანაწილებელი არხებით, 79 ერთეული დამშრობი სისტემა 305 კმ მაგისტრალური, 760 კოლექტორული და 1581 კმ შემკრები არხებით. სარწყავ სისტემებში ფუნქციონირებს 8 ირიგაციული წყალსაცავი, 54 ერთეული სატუმბი სადგური, 31 კაშხლური სათავე ნაგებობა, ასეულობით კილომეტრი საექსპლუატაციო გზა, მრავალი საწარმოო და საოფისე დანიშნულების შენობა და სხვა სახის ნაგებობები. ირიგაციული დანიშნულების გარდა სარწყავი სისტემებით წყალი მიეწოდება თევზის წარმოებით დაკავებულ 30-ზე მეტ მეწარმეს, რომელთა თევზსაშენი ტბორები მოწყობილია 1695 ჰა-ზე. საირიგაციო სისტემებზე მოწყობილია 19 სხვადასხვა სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგური, ხოლო სამის მშენებლობაზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები. კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად მოქმედ ჰესებს შეუძლიათ გამოიმუშაონ 280 მლნ. კვტ-ზე მეტი ელექტროენერგია. გარდა ამისა ტექნიკური დანიშნულების წყალი მიეწოდება ათეულობით საწარმოს.

აღნიშნული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა შედგება სხვადასხვა სახის მსხვილი ჰიდროტექნიკური ერთეულისაგან. მათ შორის: მაგისტრალური არხები - 3 100 კმ; I რიგის გამანაწილებლები - 3 600 კმ; II და სხვა რიგის გამანაწილებლები - 23 000÷25 000 კმ; გვირაბები, საერთო სიგრძით - 40,3 კმ; აკვედუკები - 19 ერთეული; დიუკერი - 58 ერთეული; წყალსაცავი - 34 ერთეული; კაშხლური სათავე ნაგებობა - 31 ერთეული; დამშრობი სისტემების მაგისტრალური არხები; კოლექტორები, წყალშემკრები არხები - 2 600 კმ. ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავებიდან ამ

ეტაპზე ფუნქციონირებს მხოლოდ 8 (სიონის, თბილისის, ალგეთის, იაყუბლოს, პანტიანის, მთისძირის, ნარეკვავის, ზრესის) წყალსაცავი, რომელთა საერთო სასარგებლო მოცულობა 342,75 მლნ.მ³-ია. კომპანიის ბალანსზე სულ ირიცხება 54 ერთეული სატუმბი სადგური, რომელთაგანაც 49 სარწყავ სისტემებზეა მოწყობილი, ხოლო 5 დამშრობ სისტემებზე. მათგან მწყობრშია 42 სატუმბი სადგური. 12 მექანიკურ სარწყავ სისტემაზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორც სატუმბი სადგურების, ასევე გამანაწილებელი ქსელის აღდგენის მიზნით.

სამელიორაციო სისტემების საექსპლუატაციო ღონისძიებები ითვალისწინებს პერიოდულად და ერთდროულად, ერთ კვანძზე ან უბანზე ისეთი სამუშაოების ჩატარებას, რამაც უნდა უზრუნველყოს სარწყავი და დამშრობი სისტემების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ფუნქციონირება. ამას განაპირობებს მათზე მუდმივი ზედამხედველობა, მოვლა და სარემონტო სამუშაოების დროული ჩატარება. სისტემის სწორი ტექნიკური ექსპლუატაცია და კარგი მოვლა გამორიცხავს ავარიებს, მუშაობაში შეფერხებებს და მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს უდროოდ მწყობრიდან გამოსულ ნაგებობათა ცალკეული ნაწილების გამოცვლაზე. ამ ღონისძიებების განხორციელებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამელიორაციო სისტემების მოვლა-შენახვას, რომელიც გულისხმობს: ტექნიკურ მდგომარეობასა და ფუნქციონირებაზე მეთვალყურეობის და დაცვის უზრუნველყოფას, ჰიდროტექნიკური მოწყობილობების, ფარების და მათი ამწე მექანიზმების შეხეთვას და შეღებვას, მაგისტრალურ და გამანაწილებელ არხებში და მათზე არსებულ ნაგებობებზე წყლის ნაკადის მიერ მოტანილი, ან ბერმიდან არხში ჩაყრილი ნაგვისაგან პერიოდულ გაწმენდას და წყალმომხმარებელთა სამელიორაციო მომსახურებას, ბენეფიციარებთან ხელშეკრულებების გაფორმებას. მნიშვნელოვანია სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: ზედაპირულ რემონტს; მიმდინარე რემონტს; პერიოდულ რემონტს; ავარიულ-აღდგენით რემონტს.

მოქმედი რეგულაციების მიხედვით, რეგიონალური სამსახურების და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სერვის ცენტრების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საერთო დანიშნულების არხების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების და დამხმარე ინფრასტრუქტურის მართვა, მათ გამართულ მდგომარეობაში შენახვა, სწორად გამოყენება და წყალმომხმარებელთა შორის წყლის განაწილება, სამელიორაციო მომსახურების უზრუნველყოფა, რიგ შემთხვევებში შიდასამეურნეო ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებების გატარება. (მთავრობის განკარგულებით, კომპანიას უფლება მიეცა განახორციელოს შიდა სამეურნეო არხების საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო ღონისძიებები).

საქართველოს მელიორაციის სტრუქტურას აქვს სამი დონე: მისი სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო რეგიონულ დონეზე წარმოდგენილია ოთხი ოფისი და 20 სერვის ცენტრი. თითოეულ რეგიონულ ოფისს ჰყავს პერსონალი, აქვს თავისი შენობა, ტრანსპორტი და ტექნიკა. სარწყავი და დამშრობი სისტემების მრავალსახოვანი მეურნეობა საჭიროებს სისტემატურ მოვლა-პატრონობას და ნაგებობების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენახვას. ამ ღონისძიებების მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით კომპანიაში შექმნილია ოთხი რეგიონალური სამსახური, რომლებიც ექვემდებარებიან კომპანიის აპარატში შექმნილ რეგიონებთან ურთიერთობის და კომერციის დეპარტამენტს და ტექნიკური ექსპლუატაციის დეპარტამენტს და საქმიანობას ეწევიან მათი უშუალო ხელმძღვანელობით. რეგიონალური სამსახურების დაქვემდებარებაშია შესაბამისი სერვის ცენტრები. ისინი ჩამოყალიბებული არიან სისტემების ან მდინარეთა აუზების მიხედვით.

მოქმედი საშტატო განრიგისა და სტრუქტურის შესაბამისად, კომპანიის საშტატო რიცხოვნობა 2018 წელს განსაზღვრული იყო 1164 ერთეულით.

მნიშვნელოვანია, რომ კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა უსაფრთხოებას, შესაბამისად კომპანია ყოველწლიურად ახორციელებს თანამშრომელთა აღჭურვას თანამედროვე ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ხელსაწყო-მოწყობილობებით და მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესებას. გარდა ამისა, კომპანია დასაქმებულთა ოპტიმიზაციის კუთხით ყოველწლიურად ახორციელებს საკადრო რეორგანიზაციას, რის მიზანსაც კომპანიის ადამიანური რესურსების კუთხით წარმოქმნილი საჭიროებების უკეთ გამოვლენა და დაკმაყოფილება, თანამშრომლების ეფექტიან მართვა და წახალისება წარმოადგენს.

ბიზნესის მოდელის მოკლე მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობის მიზანია:

- ხელშეკრულების საფუძველზე სამელიორაციო სისტემების მომსახურების ზონაში მიწათსარგებლობის პრიორიტეტული მომსახურება (სარწყავი წყლის მიწოდება, ჭარბი წყლების მოცილება) და სხვა წყალმომხმარებლებისათვის (ჰესები, ტბორები, სამრეწველო ობიექტები და სხვა) სამელიორაციო ინფრასტრუქტურით წყლის მიწოდება.
- კომპანიის მფლობელობაში არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქციის, რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის, ტექნიკური ექსპლოატაციის და წყლის მართვის საქმიანობების დაგეგმვა, განხორციელება, უზრუნველყოფა და განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა.
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის წყალსარგებლობის, წყლის მართვა-რეგულირების, უსაფრთხო ფუნქციონირების და გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირების ღონისძიებების შემუშავება და უზრუნველყოფა.
- წყალსარგებლობის დაცვაზე კონტროლი მისი კომპეტენციის ფარგლებში.

კომპანიის მისია და ძირითადი სტრატეგიული მიმართულებებია:

- წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობის ზრდა
- ირიგაციის თანამედროვე სისტემების გავრცელების პროცესის ხელშეწყობა
- სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და მართვის გაუმჯობესება
- კომპანიის ფინანსურად მდგრად ორგანიზაციად ჩამოყალიბება
- წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნის ხელშეწყობა
- წყალსაცავების რეაბილიტაცია და ახლის შექმნა

კომპანიის სამოქმედო არეალი და ინფრასტრუქტურის მასშტაბები საკმაოდ ვრცელია - კომპანია მომსახურებას ახორციელებს ქვემო ქართლის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, გურიის, იმერეთისა და აჭარის რეგიონებში, ხოლო მომხმარებლები არიან - ფერმერები, ჰიდროელექტროსადგურები, საწარმოები, სხვა წყალმომხმარებელი ფიზიკური და იურიდიული პირები. შესაბამისად, კომპანიის შემოსავლების სტრუქტურა მოიცავს შემდეგ შემადგენლებს: საირიგაციო წყლის მიწოდება; სადრენაჟე მომსახურების გაწევა; ტბორებისთვის წყლის მიწოდება; საწარმოებისთვის წყლის მიწოდება (ტექნიკური წყალი); ჰიდროელექტრო სადგურებისთვის წყლის მიწოდება; წყლის რესურსის მიწოდების უზრუნველყოფა/გატარება.

ირიგაციიდან, ჰესებიდან და ტექნიკური წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავლები ყველაზე უფრო მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ. საირიგაციო მომსახურების დარიცხვა ხასიათდება მაღალი სეზონურობის მოდელით, 4-დან 8 თვემდე აქტიური სეზონით. ტბორებიდან შემოსავალი იანვარიშემა თევზსაშენის ფართობის მიხედვით და ირიგაციასთან შედარებით თევზის მეურნეობის ტარიფი უფრო მაღალია. ჰესებიდან შემოსავალსა და ტექნიკურ წყალმომარაგებას არ ახასიათებს ძლიერი სეზონურობის მოდელი.

მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე მიმართულებით: წყლის რესურსის ხარჯის აღრიცხვა; დანახარჯთა ცენტრების დადგენა საირიგაციო სისტემების მიხედვით; დადგენილი დანახარჯის ცენტრების მიხედვით შესაბამისი შემოსავლის ცენტრების ჩამოყალიბება წმოების სახით; ტარიფთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძვლის შემუშავება. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული,

რაც საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით, უნდა აისახოს სამელიორაციო მომსახურების ტარიფებში. ამჟამად მოქმედებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2011 წლის 1 თებერვლის #2 დადგენილებით დამტკიცებული სამელიორაციო მომსახურების საფასური. ის შეადგენს 75 ლარს წელიწადში ერთ ჰექტრის მორწყვაზე აღმოსავლეთ საქართველოში და 45 ლარს - დასავლეთ საქართველოში დღგ-ს ჩათვლით. მოცემული ტარიფი პირობითია და დაახლოებითაც არ ასახავს ფაქტიურად გაწეულ ხარჯებს. საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის და შესაბამისად წყალუზრუნველყოფილი ფართობების ზრდის პარალელურად საჭიროა დამტკიცდეს ახალი საბითუმო ტარიფები. კერძოდ: სახელმწიფო საერთო სარგებლობის (დანიშნულების) საირიგაციო სისტემებით მიწათმოსარგებლეებისათვის სარწყავი წყლის მიწოდების (ან სამელიორაციო მომსახურების) საბითუმო ტარიფი; სახელმწიფო საერთო სარგებლობის (დანიშნულების) საირიგაციო სისტემებზე არსებული ჰესებისათვის წყლის მიწოდების საბითუმო ტარიფი; საწარმოო ობიექტებისათვის და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის მიწოდების საბითუმო ტარიფი. სარწყავი წყლის მიწოდებისათვის (სამელიორაციო მომსახურებისათვის) შეიძლება განხილული იქნას ორ კომპონენტის ბინომური ტარიფი. მისი პირველი შემადგენელი ნაწილი იქნება მუდმივი და დამოკიდებული მელიორირებული ფართობზე, ხოლო მეორე შემადგენელი ნაწილი იქნება ცვლადი და დამოკიდებული მიწოდებული წყლის (ან გაწეული მომსახურების) რაოდენობაზე.

მიმდინარეობს გაყიდვების შემუშავებული ახალი მარკეტინგული სტრატეგიის დანერგვა ახალი სპეციფიკების გათვალისწინებით: გაყიდვების ახალი სისტემის შემუშავება; არსებული გეო-საინფორმაციო მონაცემთა ბაზის გაუმჯობესება; რეგიონული ტელეკომპანიების ეთერში სარეკლამო რგოლის განთავსება საირიგაციო მომსახურების განაცხადის დროულად გაფორმების მოთხოვნით; გაუფორმებელი ნაკვეთების იდენტიფიკაცია და ინსპექტირება. ინერგება მომსახურების გაწევის ახალი სტანდარტები: კომპანიის ვებ-გვერდზე მიზნობრივი ინფორმაციის განთავსება; რეგიონული ტელევიზიებისა და რადიოებში შესაბამისი პროფილის გადაცემებში დაკავშირებული სიახლეების გაჟღერება; ბეჭდვითი ინფორმაციის (ფლაერები/ზუკლეტები) გავრცელება; შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებთან შეხვედრები თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაჟღერება;

პრიორიტეტულია წმო-ების ჩამოყალიბების ხელშეწყობა: განსაზღვრულია ტექნიკური მართებულობის საფუძველზე წინასწარ შერჩეულ ადგილებზე მომხმარებელთან წმო-ს უპირატესობების შესახებ პრეზენტაციების გამართვა. კანონპროექტი „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“ წარდგენილია საქართველოს პარლამენტში განსახილველად (07-2/371; 02.07.2019).

2019 წელს დაგეგმილი ღონისძიებები

წყლის მართვის გაუმჯობესება/უსაფრთხოება/რეგულირება

- ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების და მასთან დაკავშირებული სარწყავი სისტემის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის გენერალური გეგმის შემუშავება, მათი კატეგორიებად დაყოფის და განხორციელების პრიორიტეტულობის დადგენის მიზნით;
- განსახორციელებელი პროექტების შეფასება/ანალიზი (კომპანიისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ჭრილში);
- წყლის მართვის გაუმჯობესება (წყალაღება, განაწილება, მიწოდება, აღრიცხვა (მრიცხველების დამონტაჟება));
- წმო - ების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და ადგილობრივი დონის სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მართვის გაუმჯობესება;

- კაშხლების უსაფრთხოების სისტემების დანერგვა;
- პრაქტიკული მეთოდოლოგიის შემუშავება სარწყავ და ტექნიკურ წყალზე საბითუმო ფასის დადგენის მიზნით;

კომპანიის მართვის გაუმჯობესება:

- სამელიორაციო მომსახურებაზე კონტრაქტების გაფორმების, ბილინგისა და მონიტორინგის პროცედურების სრულყოფა;
- ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია;
- არაპროფილური უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა, ნაკლებად დატვირთული ტექნიკის და სხვა მოძრავი საშუალებების რეალიზაცია;
- კომპანიის რეორგანიზაციის შედეგად ხარჯების ოპტიმიზაცია და მართვის სრულყოფა;
- შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვა;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;

რისკების ანალიზი

კომპანია ფუნქციონირებს გარემოში, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის თანმდევ რისკებზე, შესაბამისად, რისკის მართვა ითვალისწინებს ამ გარემოს სპეციფიკას. შიდა რისკს წარმოადგენს დაწესებულების შიდა რესურსების შედეგად წარმოქმნილი რისკი, ხოლო გარე რისკს წარმოადგენს გარე ფაქტორების ზემოქმედებით წარმოქმნილი რისკი. რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის განიხილება სტრატეგიული, ფინანსური, ოპერაციული და სხვა რისკები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც შიდა ან გარე ფაქტორით გამოწვეული, ასევე ორივე ფაქტორის ზემოქმედებით. ანალიზის შედეგად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სამსახურების მიერ შემუშავებული წინადადებები წარედგინება ადმინისტრაციას რისკის მართვის ღონისძიებების გასატარებლად სხვადასხვა მიმართულებით: მმართველობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, ფუნქციები და ანგარიშვალდებულების ფარგლები; დაწესებულების შესაძლებლობები რესურსებისა და ცოდნის თვალსაზრისით (დრო, პროცესები, ადამიანური რესურსები, სისტემები, დაწესებულების კაპიტალი, ტექნოლოგიები და სხვა); ინფორმაციული სისტემები, ინფორმაციის მოძრაობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესი; სახელშეკრულებო ურთიერთობების ფორმა და მოცულობა და სხვა. რისკების უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად ტარდება საპასუხო ღონისძიებები, რომელიც მოიცავს რისკის კონტროლს, თუმცა ამასთან ერთად გვხვდება ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა რისკის თავიდან აცილება, რისკის გაზიარება, რისკის დაფინანსება (ხარჯი/სარგებლის შედარებით) და სხვა. ძირითადი აქცენტი გადატანილია ფინანსურ, ოპერატიულ და სამართლებრივ რისკებზე. ფინანსური რისკი შედგება საბაზრო რისკის (მათ შორის სავალუტო რისკები, საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებული რისკები და სხვა ფასების რისკები), საკრედიტო რისკის და ლიკვიდაციის რისკისგან. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების ამ ლიმიტებში შენარჩუნება. ოპერატიული და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქციებია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირება, რათა შემცირებული იქნას ოპერატიული და სამართლებრივი რისკები.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი რომელიც წარმოადგენს იმის რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოიწვევს მეორე მხარისთვის ზარალის მიყენებას. საკრედიტო რისკი წარმოიშვება კომპანიის პროდუქტების კრედიტის პირობებით გაყიდვებიდან და მეორე მხარეებთან სხვა სახის ტრანზაქციებიდან. კომპანიას არა აქვს საკრედიტო რისკების კონცენტრაცია, რადგან მისაღები ბალანსების ძირითადი ნაწილი წარმოებულია ფერმერებისგან და განაწილებულია სხვადასხვა ფიზიკურ პირებზე.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკები წარმოიშვება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) საპროცენტო განაკვეთების მატარებელ აქტივებსა და ვალდებულებებზე და (გ) სააქციო პროდუქტებზე, რომელთაგან ყველა მათგანი იმყოფება ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო მოძრაობების წინაშე. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის ღირებულებას, რომელიც შეიძლება იქნას მიღებული და მასზე ტარდება ყოველდღიური მონიტორინგი. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ იძლევა ამ ლიმიტების მიღმა ზარალების თავიდან აცილების გარანტიას უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში. ქვემოთ ჩამოთვლილი საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ეყრდნობა ცვლილებებს ფაქტორში, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება უცვლელი. პრაქტიკაში ამის მოხდენა ნაკლებად არის მოსალოდნელი და ცვლილებები ზოგიერთ ფაქტორში შეიძლება იყოს ურთიერთდაკავშირებული - მაგალითად, ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებსა და უცხოური ვალუტის კურსებში.

სავალუტო რისკი. კომპანია არ იმყოფება სავალუტო რისკის ქვეშ, რადგან ყველა მნიშვნელოვანი სავალუტო აქტივი და ვალდებულება გამოხატულია ქართულ ლარში. სავალუტო რისკებთან მიმართებაში ხელმძღვანელობა ცდილობს ფონდები მიიღოს ადგილობრივ ვალუტაში და გაანაწილოს ისინი ასევე ადგილობრივ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც კომპანიას გაუჭირდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკის მართვა ხდება ხელმძღვანელობის მიერ. ხელმძღვანელობა ახდენს კომპანიის ფულადი ნაკადების წლიური პროგნოზების მართვის მონიტორინგს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური დაფინანსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხებისგან და გამოყოფილი დაფინანსებისაგან. კომპანია ახორციელებს გამოყოფილი დაფინანსების ინვესტირებას ძირითადად მისი გრძელვადიანი აქტივების შეკეთებასა და ტექნიკური მხარდაჭერის სამუშაოებში, რათა უპასუხოს ბაზარზე არსებულ საირიგაციო მომსახურებაზე მოთხოვნებს. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფოლიო შედგება ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან რათა მზად იყოს გაუთვალისწინებელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

პერსონალის ჯანმრთელობა - კომპანიის აზღვევს პერსონალის ჯანმრთელობის და სიცოცხლის ზედამხედველობას შრომის უსაფრთხოებაზე ახორციელებს კომპანიის შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომელიც დაკომპლექტებულია სერთიფიცირებული თანამშრომლებით.

პერსონალის არაკეთილსინდისიერად ან გაუფრთხილებლად მოქმედებით გამოწვეული ზიანი - კომპანიაში პერსონალის მიღება ხდება მათი ბიოგრაფიის შესწავლის და გამოსაცდელი ვადის გავლის შემდეგ.

მაღალკვალიფიციური პერსონალის გადინება - კონკურენტუნარიანი შრომის ანაზღაურების და კარგი სამუშაო პირობების შეთავაზებით ხდება კადრების შენარჩუნება, ამასთან ერთად მუდმივად მიმდინარეობს ახალი პერსონალის სწავლება ძველის გადამზადება.

სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკი - კომპანიას დაზღვეული აქვს ავტომობილები.

ფორს-მაჟორი - ყველა ხელშეკრულება ითვალისწინებს ფორს-მაჟორის შემთხვევაში მოქმედების წესებს.

მიღებული სამუშაოებსა და საქონელში ფარული ხარვეზის არსებობის რისკი - ყველა ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონელსა და მომსახურებაზე გონივრულ საგარანტიო პერიოდს, გარდა ამისა მნიშვნელოვან ობიექტების მშენებლობაში ხდება აღმოჩენილი ხარვეზის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად თანხის დაკავება ან საბანკო გარანტიის მოთხოვნა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების რისკი - ვადაგადაცილების შემთხვევაში ყველა ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ჯარიმის გადახდა.

ავანსი - ავანსის გადახდა ხდება მხოლოდ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდეგ.

წლიური ფინანსური მაჩვენებლების ანალიზი

შპს „საქართველოს მელიორაციის“ (შემდგომში კომპანია) საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლების 2018 წლის მაჩვენებლების ანალიზი

შემოსავლები საოპერაციო საქმიანობიდან:

2018 წელს კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან შემოსავლებმა (დარიცხული სიდიდე) შეადგინა 5 236 299 ლარი.

შემოსავლები არასაოპერაციო საქმიანობიდან:

2018 წელს სულ დარიცხულმა არასაოპერაციო შემოსავლებმა შეადგინა 16 202 813 ლარი, მ.შ შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალის გაზრდისა და ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 2 თებერვლის №243 (განხორციელდა ცვლილება 2018 წლის 30 ოქტომბერს N 2018 განკარგულებით) 14 500 000 ლარი და ფინანსურმა შემოსავალმა შეადგინა 1 709 435 ლარი.

2018 წლის შემოსავლებმა სულ შეადგინა 23 148 546 ლარი.

2018 წლის მიმდინარე ხარჯები:

კომპანიის 2018 წლის ხარჯებმა სულ შეადგენს 62 428 999 :

- შრომის ანაზღაურება - 15 908 014 ლარი;
- გამოყენებული ნედლეული და დასახარჯი მასალები - 2 126 984 ლარი;
- მომსახურება - 2 894 723 ლარი;
- სხვა საოპერაციო ხარჯები - 3 830 925 ლარი;
- ძირითადი საშუალებების ცვეთა - 6 716 474 ლარი;
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება - 29 496 765 ლარი;
- ფინანსური ხარჯები - 1 374 313 ლარი;
- არასაოპერაციო ხარჯი - 76890 ლარი

2018 წლის მთლიანმა ზარალმა შეადგინა 39 280 452 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ჰიდროტექნიკური აქტივები და სპეციალური სამელიორაციო სისტემის ნაგებობები შეფასებულია ნულოვანი ღირებულებით 2016 წლის 1 იანვარს. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეასრულა გაუფასურების შემოწმება ამ აქტივებზე და ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება შეადგენს უარყოფით თანხას. ამ შედეგებზე დაყრდნობით 29 496 765 ლარი წარმოდგენილი იყო მოგება ზარალის ანგარიშში და სხვა სრულ შემოსავალში.

**შპს “საქართველოს მელიორაცია” დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა
და
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი, 2018 წელი**

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	14
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	18
სრული შემოსავლის ანგარიშგება	19
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	20
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	21
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	22
შენიშვნა 1. კომპანია და მისი საქმიანობა	22
შენიშვნა 2. კომპანიის საოპერაციო საქმიანობა.....	22
შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	22
შენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები.....	32
შენიშვნა 5. მარაგები.....	32
შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	32
შენიშვნა 7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	33
შენიშვნა 8. საწესდებო კაპიტალი.....	33
შენიშვნა 9. სესხები.....	33
შენიშვნა 10. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.....	33
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	34
შენიშვნა 12. შემოსავალი.....	34
შენიშვნა 13. სხვა შემოსავალი.....	34
შენიშვნა 14. მომსახურება	34
შენიშვნა 15. გამოყენებული ნედლეული.....	34
შენიშვნა 16. შრომის ანაზღაურება.....	35
შენიშვნა 17. სხვა საოპერაციო ხარჯი.....	35
შენიშვნა 18. ფინანსური ხარჯი	35
შენიშვნა 19. ფინანსური რისკის მართვა.....	35
შენიშვნა 20. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით	37
შენიშვნა 21. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	38

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს:

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს „საქართველოს მელიორაცია“-ს (შემდეგში, „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების (გვ. 18-38) აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე - ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისაგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ძირითადი საშუალებების სისრულე - კომპანიამ პირველი ფასს-ს შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება მოამზადა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ფასს 1 - ის შესაბამისად, ძირითადი საშუალებებისათვის გამოიყენა „დასაშვები საწყისი ღირებულება“ (2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით). ამ პროცესში, ძირითადი საშუალებების რეესტრებს შორის არსებული შეუსაბამოების გამო, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის თარიღისათვის (2016 წლის 1 იანვარი) „დასაშვები საწყისი ღირებულების“ გაანგარიშებაში არ იქნა შეტანილი კომპანიისათვის საკუთარ კაპიტალში შენატანების გზით გადაცემული აქტივების ნაწილი და შესაბამისად, არ განხორციელებულა ამ ძირითადი საშუალებების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა. შედეგად, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების მუხლი შემცირებულია, ხოლო მასთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა ელემენტები შეიცავენ უზუსტობას. ჩვენ არ შეგვიძლია შევაფასოთ ამ ცდომილებათა მონეტარული გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

არაფულადი შენატანები საკუთარ კაპიტალში - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, როგორც კომპანიის დამფუძნებელი ანხორციელებს, საკუთარი დადგენილებების საფუძველზე, კომპანიის კაპიტალში არაფულად შენატანებს (ძირითადი საშუალებები). აღნიშნული შენატანების აღრიცხვა ხორციელდება ნომინალური ღირებულებით და არა სამართლიანი ღირებულებით, როგორც ეს ამ შემთხვევაში მოითხოვება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. არაფულადმა შენატანებმა შეადგინეს 18,090 ათასი და 31,643 ათასი ლარი, შესაბამისად, 2018 და 2017 საანგარიშგებო წელს. ჩვენ არ შეგვიძლია შევაფასოთ ამ ცდომილებათა მონეტარული გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ძირითადი საშუალებების კუთვნილება - 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებებით 4,843 ათასი და 13,149 ათასი ლარი, შესაბამისად, არ იყო სათანადოდ რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამ აქტივებთან დაკავშირებით ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სათანადო რწმუნება მათი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით და შესაბამისად, მათ საბალანსო ღირებულებების სისწორესთან დაკავშირებით.

მიღებული ავანსები - წარდგენილი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავენ მიღებულ ავანსებს, რომელთა კლიენტთა მომსახურების ბაზებთან შესაკვშირება ვერ ხერხდება, სააღრიცხვო სისტემის ნაკლოვანებების გამო. შედეგად, ჩვენ ვერ ვადასტურებთ 452 ათასი (2017: 760 ათასი) ლარის ვალდებულებებს.

მატერიალური აქტივების დანაკლისთან დაკავშირებული საგადასახადო ხარჯების ანარიცხი - კომპანიამ 2018 წლის დეკემბერში, 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებამდე, დაადგინა 1,900 ათასი ლარის დანაკარგი მატერიალურ აქტივებში. ვინაიდან ეს დანაკარგები უკავშირდებოდა 2015 და 2017 წლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო პროექტებს, შესაბამისი ხარჯი აღიარდა აღნიშნულ პერიოდებში და კომპანიის ხელმძღვანელობამ, კანონის შესაბამისად, შეატყობინა სხვადასხვა სათანადო ორგანოებს აღნიშნულის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიაში აღნიშნული დანაკარგები, მათი შესწავლის შემდგომ, ჩაითვლება დანაკლისებად, კომპანიას, მოქმედი კანონმდებლობით შესაძლებელია დაეკისროს გარკვეული გადასახადები. ჩვენი შეფასებით, ანარიცხის ზედა ზღვარი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ნაღარიბი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 737 ათას ლარს.

მატერიალური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი - 2019 წლის ივნისი-აგვისტოს განმავლობაში კომპანიაში განხორციელებულ მატერიალური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა დანაკლისი, მათ შორის ისეთ აქტივებში, რომლებიც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. გამოვლენილი დანაკლისების საბალანსო ღირებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს: ძირითადი საშუალებები - 729 ათასი ლარი და მატერიალური მარაგები - 202 ათასი ლარი. მიგვაჩნია, რომ მაღალი ალბათობით, ეს დანაკლისები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იარსებებდა.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე” - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2019 წლის 23 სექტემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასვენასა და ფინანსურ ანგარიშგებათან ერთად (იხილეთ გვ. i - vi), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაზრებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორ ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადაეცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუდიტორების შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ (იხილეთ გვ. i - vi) მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვით მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი.



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)

პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია


23 სექტემბერი, 2018 წელი

თბილისი, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 4)	54,268,572	55,061,454
სხვა არამატერიალური აქტივები	346,787	264,520
სულ გრძელვადიანი აქტივები	54,615,359	55,325,974
მიმდინარე აქტივები		
მარაგები (შენიშვნა 5)	4,054,036	3,935,395
ანაზღაურებადი და წინასწარ გადახდილი გადასახადები	4,909,635	3,522,184
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 6)	571,760	4,458,008
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 7)	8,276,513	39,378,711
სულ მიმდინარე აქტივები	17,811,944	51,294,298
სულ აქტივები	72,427,303	106,620,272
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 8)	907,339,864	910,147,042
აკუმულირებული ზარალი	(850,908,771)	(819,746,181)
სულ კაპიტალი	56,431,093	90,400,861
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები (შენიშვნა 9)	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	373,960	584,782
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	373,960	584,782
მიმდინარე ვალდებულებები		
სესხები (შენიშვნა 9)	12,472,816	11,098,504
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 11)	3,149,434	4,536,125
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	15,622,250	15,634,629
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	72,427,303	106,620,272

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:




დავით წითლიძე - გენერალური დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31-დეკ-2018 დასრულებული წლისათვის	31-დეკ-2017 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი (შენიშვნა 12)	5,236,299	5,252,085
სხვა შემოსავლები (შენიშვნა 13)	16,202,813	15,722,198
შრომის ანაზღაურება (შენიშვნა 16)	(15,908,014)	(15,044,847)
მომსახურების ხარჯი (შენიშვნა 14)	(2,894,723)	(3,211,495)
გამოყენებული ნედლეული (შენიშვნა 15)	(2,128,984)	(1,899,400)
ცვეთა და ამორტიზაცია (შენიშვნა 4)	(6,716,474)	(6,551,519)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	(29,496,765)	(36,645,155)
სხვა საოპერაციო ხარჯი (შენიშვნა 17)	(3,830,925)	(4,923,442)
ზარალი მოგების გადასახადამდე	(39,280,452)	(47,773,420)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(78,800)	-
ფინანსური შემოსავალი	1,709,435	467,963
ფინანსური ხარჯი (შენიშვნა 18)	(1,374,313)	(939,808)
ზარალი მოგების გადასახადამდე	(39,280,452)	(47,773,420)
მოგების გადასახადი	-	-
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	(39,280,452)	(47,773,420)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ სრული შემოსავალი (ზარალი)	(39,280,452)	(47,773,420)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:




დავით წითლიძე - გენერალური დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31-დეკ-2018 დასრულებული წლისათვის	31-დეკ-2017 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი მოგების გადასახადამდე	(39,280,452)	(47,773,420)
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	6,716,474	6,551,519
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	29,496,765	36,645,155
საეჭვო ვალები	28,852	563,253
მარაგების დანაკლისი	-	309,489
ფინანსური ხარჯი	1,374,313	939,808
ფინანსური შემოსავალი	(1,709,435)	(467,963)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(73,300)	-
ზარალი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	(3,446,783)	(3,232,159)
მარაგების შემცირება/(ზრდა)	(118,641)	137,914
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	3,886,248	3,968,742
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება	(1,386,691)	1,100,945
ცვლილება გადავადებულ შემოსავლებში	-	(212,380)
წინასწარ გადახდილი გადასახადების ზრდა	(1,387,451)	(2,295,602)
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში	993,465	2,699,619
საპროცენტო შემოსავალი	1,709,435	467,963
საპროცენტო ხარჯი	-	-
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	(743,884)	(64,577)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(30,970,177)	(38,272,142)
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	75,935	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(30,894,242)	(38,272,142)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (შენიშვნა 10)		
მესაკუთრის მიერ კაპიტალში შენატანი	535,928	67,080,090
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	535,928	67,080,090
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	39,378,711	10,635,340
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილება	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	8,276,513	39,378,711

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:




დავით წითლიძე - გენერალური დირექტორი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2017 წლის 01 იანვარს	839,544,044	(770,834,609)	68,709,435
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	(47,773,420)	(47,773,420)
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 12)	98,723,362	(28,816,516)	69,906,846
საწესდებო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 12)	(28,120,364)	27,678,364	(442,000)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	910,147,042	(819,746,181)	90,400,861
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	(39,280,452)	(39,280,452)
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 12)	18,626,069	(11,366,364)	7,259,705
საწესდებო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 12)	(21,433,246)	19,484,226	(1,949,020)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	907,339,864	(850,908,771)	56,431,093

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:



დავით წითლიძე - გენერალური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
აქტივები		
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>		
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 4)	54,268,572	55,061,454
სხვა არამატერიალური აქტივები	346,787	264,520
სულ გრძელვადიანი აქტივები	54,615,359	55,325,974
<i>მიმდინარე აქტივები</i>		
მარაგები (შენიშვნა 5)	4,054,036	3,935,395
ანაზღაურებადი და წინასწარ გადახდილი გადასახადები	4,909,635	3,522,184
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (შენიშვნა 6)	571,760	4,458,008
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა 7)	8,276,513	39,378,711
სულ მიმდინარე აქტივები	17,811,944	51,294,298
სულ აქტივები	72,427,303	106,620,272
ვალდებულებები და კაპიტალი		
<i>კაპიტალი</i>		
საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 8)	907,339,864	910,147,042
აკუმულირებული ზარალი	(850,908,771)	(819,746,181)
სულ კაპიტალი	56,431,093	90,400,861
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>		
გრძელვადიანი სესხები (შენიშვნა 9)	-	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	373,960	584,782
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	373,960	584,782
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>		
სესხები (შენიშვნა 9)	12,472,816	11,098,504
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (შენიშვნა 11)	3,149,434	4,536,125
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	15,622,250	15,634,629
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	72,427,303	106,620,272

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დავით წითლიძე - გენერალური დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31-დეკ-2018 დასრულებული წლისათვის	31-დეკ-2017 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი (შენიშვნა 12)	5,236,299	5,252,085
სხვა შემოსავლები (შენიშვნა 13)	16,202,813	15,722,198
შრომის ანაზღაურება (შენიშვნა 16)	(15,908,014)	(15,044,847)
მომსახურების ხარჯი (შენიშვნა 14)	(2,894,723)	(3,211,495)
გამოყენებული ნედლეული (შენიშვნა 15)	(2,128,984)	(1,899,400)
ცვეთა და ამორტიზაცია (შენიშვნა 4)	(6,716,474)	(6,551,519)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	(29,496,765)	(36,645,155)
სხვა საოპერაციო ხარჯი (შენიშვნა 17)	(3,830,925)	(4,923,442)
ზარალი მოგების გადასახადამდე	(39,280,452)	(47,773,420)
არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	(78,800)	-
ფინანსური შემოსავალი	1,709,435	467,963
ფინანსური ხარჯი (შენიშვნა 18)	(1,374,313)	(939,808)
ზარალი მოგების გადასახადამდე	(39,280,452)	(47,773,420)
მოგების გადასახადი	-	-
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	(39,280,452)	(47,773,420)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ სრული შემოსავალი (ზარალი)	(39,280,452)	(47,773,420)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დავით წითლიძე - გენერალური დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31-დეკ-2018 დასრულებული წლისათვის	31-დეკ-2017 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი მოგების გადასახადამდე	(39,280,452)	(47,773,420)
შესწორებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	6,716,474	6,551,519
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	29,496,765	36,645,155
საექვო ვალები	28,852	563,253
მარაგების დანაკლისი	-	309,489
ფინანსური ხარჯი	1,374,313	939,808
ფინანსური შემოსავალი	(1,709,435)	(467,963)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(73,300)	-
ზარალი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	(3,446,783)	(3,232,159)
მარაგების შემცირება/(ზრდა)	(118,641)	137,914
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	3,886,248	3,968,742
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება	(1,386,691)	1,100,945
ცვლილება გადავადებულ შემოსავლებში	-	(212,380)
წინასწარ გადახდილი გადასახადების ზრდა	(1,387,451)	(2,295,602)
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში	993,465	2,699,619
საპროცენტო შემოსავალი	1,709,435	467,963
საპროცენტო ხარჯი	-	-
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	(743,884)	(64,577)
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(30,970,177)	(38,272,142)
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	75,935	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(30,894,242)	(38,272,142)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან (შენიშვნა 10)		
მესაკუთრის მიერ კაპიტალში შენატანი	535,928	67,080,090
საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	535,928	67,080,090
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	39,378,711	10,635,340
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ცვლილება	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	8,276,513	39,378,711

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

დავით წითლიძე - გენერალური დირექტორი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2017 წლის 01 იანვარს	839,544,044	(770,834,609)	68,709,435
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	(47,773,420)	(47,773,420)
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 12)	98,723,362	(28,816,516)	69,906,846
საწესდებო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 12)	(28,120,364)	27,678,364	(442,000)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	910,147,042	(819,746,181)	90,400,861
სულ სრული შემოსავალი/(ზარალი)	-	(39,280,452)	(39,280,452)
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 12)	18,626,069	(11,366,364)	7,259,705
საწესდებო კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 12)	(21,433,246)	19,484,226	(1,949,020)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	907,339,864	(850,908,771)	56,431,093

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 23 სექტემბერს და მათი სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირის მიერ:

 დავით წითლიძე - გენერალური დირექტორი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1. კომპანია და მისი საქმიანობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით 31 დეკემბერი 2018 დასრულებული წლისთვის.

კომპანია დაარსდა 2007 წლის 26 თებერვალს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (საოდეინთიფიკაციო კოდი: 204524568). კომპანია წარმოადგენს შპს სიონი-მ_ს სამართალმემკვიდრეს, რომელიც 16 მარტს 2012 წელს, გაერთიანდა სამ სხვა კომპანიასთან, შპს მტკვარი-მ, შპს ალაზანი-მ და შპს კოლხეთი-მ.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის შპს საქართველოს მელიორაციის დედა კომპანია არის საქართველოს მთავრობა, რომელსაც თავის მხრივ წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

კომპანიას 2018 წელში ყავდა საშუალოდ 1164 დასაქმებული

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს, ფერმებისთვის საირიგაციო, სადრენაჟო წყლის მიწოდებას ქვეყნის მასშტაბით. კომპანიას ბაზარზე არ ჰყავს კონკურენტი. იგი 20 სერვის-ცენტრით არის წარმოდგენილი ქვეყნის მასშტაბით. კომპანია მართავს, ჰიდრო ნაგებობებს და სპეციალურ სამელიორაციო სისტემებს, რომელიც ძირითადად შედგება სხვადასხვა ჰიდრავლიკური-ტექნიკური ნაწილებისგან, მთავარი წყლის გამანაწილებელი ხაზების, ტუნელების, სადრენაჟო არხებისგან და სხვა.

დამატებით, სადრენაჟო და საირიგაციო მომსახურების გარდა, კომპანია ასევე ყიდის ტექნიკურ წყალს კერძო სექტორზე.

კომპანიის სარეგისტრაციო და ბიზნეს საქმიანობის ადგილი. კომპანია დარეგისტრირებულია და წარმართავს თავის ბიზნესს მისამართზე: #6 გულუას ქუჩა, თბილისი, საქართველო.

წარმოდგენილი ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, გარდა იმ შემთხვევისა თუ სხვა გვარად არ არის მითითებული

შენიშვნა 2. კომპანიის საოპერაციო საქმიანობა

კომპანია ძირითად სამეურნეო საქმიანობას წარმართავს საქართველოში. საქართველოს ჯერ კიდევ გააჩნია განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც ართულებს საქართველოში ფუნქციონირებადი კომპანიების წინაშე მდგომ გამოწვევებს.

კომპანიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განჭვრიტოს ყველა ის მოვლენა, რამაც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და განსაზღვროს, თუ საბოლოოდ რა ზეგავლენას მოახდენს ეს - ან საერთოდ მოახდენს თუ არა რაიმე ზეგავლენას - კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, აგრეთვე საგადასახადო, სამართლებრივი, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების განვითარებაზე.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის მდგრადობისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

შენიშვნა 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

3.1. მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების

მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

წარსადგენი ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

ფასების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის პროცესში წამოჭრილი გადაწყვეტილებების განხორციელების მართვას. საკითხები, რომლებიც შეიცავს გარკვეულ სირთულეებს ან საკითხები სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის განმარტებული შენიშვნა 3.17-ში.

3.2. უცხოური ვალუტა

(ა) ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების შემავალი ანგარიშები განსაზღვრულია ეკონომიკური გარემოზე, სადაც კომპანია ოპერირებს (ფუნქციური ვალუტა, რომელიც არის ქართული ლარი). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც არის განსაზღვრული ეროვნული ბანკის მიერ, ქართულ ლარსა და აშშ დოლარს, და ქართულ ლარსა და ევროს შორის, იხილეთ ქვემოთ:

	აშშ დოლარი	ევრო
01 იანვარი 2018	2.5922	3.1044
31 დეკემბერი 2018	2.6766	3.0701

(ბ) ტრანზაქციები და ნაშთები

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით, ქართულ ლარში. უცხოური ვალუტით მიღებული მოგება ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს, პერიოდის დასაწყისში არსებული, ეფექტური საპროცენტო განაკვეთითა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას. არაფულადი აქტივები, რომლის ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია, გადმოიყვანება მოქმედ ვალუტაში ოპერაციის მოხდენის თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში.

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან. თვითწარმოებული აქტივების ღირებულება შეიცავს პირდაპირი შრომისა და გამოყენებული მასალების ღირებულებას, ასევე აქტივის გამოყენებისათვის გამოიწვევს სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ნებისმიერი სახის დანახარჯს, ნივთების დემონტაჟისა და თავიანთი ადგილმდებარეობიდან ამოღების ღირებულებას. შეძენილი სისტემური უზრუნველყოფა, რომელიც კომპიუტერული აღჭურვილობის ფუნქციონირების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირებული არის ამ აღჭურვილობის ნაწილად.

როდესაც ძირითადი საშუალებების ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადა ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალ-ცალკე ერთეულებად (ძირითადი კომპონენტებად).

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლოს შემოსვლას კომპანიაში და

შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზაობის დღიდან, რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენების მზაობის დღიდან. ცვეთა იანგარიშება აქტივის ღირებულებას გამოკლებული აქტივის ნარჩენი ღირებულება.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი მოხმარებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგი:

კატეგორია	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	25-50
სპეციალიზირებული ჰიდრო და სამელიორაციო აქტივები	15-30
მანქანა-დანადგარები	5-15
ავტომობილები	5-10
საოფისე აღჭურვილობა და მოწყობილობები	3-7

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

3.4. მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული მათი დასრულებისა და გაყიდვის ხარჯები.

3.5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის თანხები რომლებიც მისაღება მომხმარებლისგან მომსახურებისა თუ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ ჩვეულებრივ ბიზნესის კურსის ფარგლებში. თუ მისაღები თანხების შეგროვება მოსალოდნელია ერთ წელში ან ნაკლებში, ისინი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. თუ არა, წარმოდგენილი იქნება როგორც გრძელვადიანი აქტივები. ამჟამად, ყველა კომპანიის მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივებად რადგან მათი მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ფარგლებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3.6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცემა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

3.7. დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული ჩასათვლედი დამატებითი ღირებულების გადასახადი გადაეხდება საგადასახადო ორგანოებს უფრო ადრე, ვიდრე ადგილი ექნება შემდეგ მოლენებს (ა) მომხმარებლებიდან დებიტორული დავალიანების ამოღება, ან (ბ) პროდუქციის, ან მომსახურების მიწოდება

მომხმარებლებისათვის. დასაბრუნებელი დღე ზოგადად ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ს მიმართ, დღე-ს ანგარიშგაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოები დღე-ს ნეტო საფუძველზე დაფარვის ნებას იძლევიან. რეალიზაციასთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღე-ს აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც შექმნილია დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხით, დღე-ს ჩათვლით.

3.8. სესხები

სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ხარჯების გამოკლებით. შემდგომში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით; ნებისმიერი განსხვავება მიღებულ სესხსა (გარიგების ხარჯების გამოკლებით) და გამოსასყიდ ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის გადასახდელი თანხები მომწოდებლების მიერ მოწოდებული საქონლისა თუ მომსახურებისთვის. სავაჭრო ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარე დავალიანებად, თუ გადახდა მოხდება ერთ წელში ან ნაკლებ დროში. თუ არა, მაშინ წარმოდგინდება როგორც გრძელვადიანი დავალიანება. ამჟამად, ყველა კომპანიის სავაჭრო დავალიანება მოსალოდნელია რომ გადახდილი იქნება ერთი წლის ფარგლებში ბალანსის დღიდან და კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება.

სავაჭრო დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით.

3.10. შემოსავლის აღიარება

შემოსავალი მოიცავს სავაჭრო მარაგების გაყიდვით სამართლიანი ღირებულებით ასახულ მიღებული ან მისაღებ ნეტო თანხებს დამატებითი ღირებულების, უკან დაბრუნებების და ფასდათმობების გარეშე.

კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ როდესაც თანხები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს, როცა სავრაუდოა რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში.

3.11. თანამშრომლების გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

3.12. ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

3.13. მოგების გადასახადი

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივებს და ვალდებულებებს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ანუღირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას

3.14. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ჯგუფის ფინანსური ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით (გარიგების პირდაპირი დანახარჯების გამოკლებით, თუ ამგვარს ადგილი აქვს) და შემდგომში წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კლასიფიკაცია. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება. შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

რეალური ღირებულება გახლავთ თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ფასი ფინანსური აქტივებისათვის და მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზარზე. ურთიერთგადამფარავი საბაზრო რისკების მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის ჯგუფმა შეიძლება საშუალო საბაზრო ფასები გამოიყენოს ურთიერთგადამფარავი რისკის პოზიციების რეალური ღირებულების დადგენისათვის და შეთავაზებული ფასი ან მოთხოვნილი ფასი გამოიყენოს ღია პოზიციების შესაფერისად დაბალანსებისათვის. ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად განიხილება, თუ კოტირებული ფასები იოლად და რეგულარულად მიღებადია ბირჟიდან ან სხვა დაწესებულებიდან და აღნიშნული ფასები ასახავს აქტიურ და რეგულარულ საბაზრო გარიგებებს საფონდო ბირჟაზე „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით.

შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადის მოდელები ან მოდელები გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით დადებული ბოლოდროინდელი გარიგებების, ან ინვესტიციის

მიმდების ფინანსური მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, გამოიყენება იმ გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც გარე საბაზრო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. შეფასების მეთოდებით შეიძლება მოითხოვებოდეს ისეთი დაშვებების გაკეთება, რომლებიც არ არის გამყარებული დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ახსნა-განმარტებითი შენიშვნები თუ მსგავსი დაშვებების გონივრულად შესაძლებელი ალტერნატივით შეცვლის შედეგად მიიღება მნიშვნელოვნად განსხვავებული მოგება, შემოსავალი, მთლიანი აქტივები ან მთლიანი ვალდებულებები.

გარიგების დანახარჯები არის ნამეტი დანახარჯები, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების შესყიდვის, ემისიის ან რელიზაციის პირდაპირ დანახარჯებს. ნამეტი დანახარჯები არის დანახარჯები, რომლებიც არ წარმოიშობოდა, თუ არ განხორციელდებოდა გარიგება. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (გაყიდვის აგენტებად მოქმედ დაქირავებულ მომუშავეთა ჩათვლით), მრჩეველების, ბროკერებისა და დილერების ხელფასებსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი სააგენტოებიდან და საფონდო ბირჟებიდან მოსაკრებლებსა და სატრანსფერო ბაჟსა თუ სავალდებულო მოსაკრებელს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს პრემიებსა და ფასდათმობებს, ფინანსურ დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ თუ მფლობელთა დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი აღიარდა თავდაპირველი აღიარებისას, შემცირებული ძირითადი თანხის გადახდით, მიმატებული დარიცხული პროცენტის თანხა და ფინანსური ინსტრუმენტისათვის, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის ჩამოწერით. დარიცხული პროცენტის თანხა მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და პრემიას ან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტის დისკონტირებული ღირებულება. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯები, როგორც დარიცხული კუპონის, ისე ამორტიზირებული დისკონტის ან პრემიის ჩათვლით (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს), ცალ-ცალკე კი არ აისახება, არამედ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკავშირებული მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი, ისე რომ მიღებულ იქნეს პერიოდის მუდმივი საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს (სამომავლო საკრედიტო ზარალის გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, თუ შესაფერისია, ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ხდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების დისკონტირება პროცენტის გადაფასების შემდეგ თარიღამდე, გარდა პრემიის ან დისკონტისა, რომელიც ასახავს ინსტრუმენტში განსაზღვრული მცოცავი საპროცენტო განაკვეთის შედგავთის დიაპაზონს ან სხვა ცვლადებს, რომლებიც დამოკიდებული არ არის საბაზრო განაკვეთზე. მსგავსი პრემია ან დისკონტი ამორტიზდება ინსტრუმენტის მთელი მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. ახლანდელი ღირებულების გაანგარიშება მოიცავს მხარეების მიერ ყველა საკონტრაქტო გადახდილ ან მიღებულ საზღაურს, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საბანკო ანგარიშებს მოთხენამდე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზღაურებები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარება და კლასიფიკაცია. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირებულია როგორც ამორტიზირებული ღირებულებით წარდგენილი ვალდებულებები.

შემდგომი შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ვალდებულებების (სავაჭრო და სასესხო) შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზირებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც არსებითად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

3.15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცემული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განიცემული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. მიუხედავად აკუმულირებული ზარალის მოცულობის, უარყოფითი ლიკვიდურობის და ზარალიანი ოპერაციული შედეგებისა, სახელმწიფო კომპანიის, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მელიორაციის მომსახურების არსებითად ერთადერთი მიმწოდებლის ოპერაციების შეწყვეტა

შეუძლებელია მისი სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვიდან გამომდინარე. კომპანია იღებს და მომავალშიც განაგრძობს სახელმწიფოს მხრიდან მონეტარული და არამონეტარული მხარდაჭერის მიღებას.

3.16. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში

კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშერკულებებიდან და ფასს 9 - ფინანსური აქტივები. ამ ახალი სააღრიცხვო სტანდარტების მიღებით გამოწვეული ცვლილებებს, ჯგუფში შემავალი კომპანიების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ ჰქონიათ არსებითი ხასიათის გავლენა მიმდინარე ან გასული პერიოდების ფინანსურ შედეგსა და წარგდენილ ნაშთებზე.

რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2018 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე. ჯგუფს ვადაზე ადრე დაუნერგავს ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ანაცვლა ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება) 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ჯგუფში შემავალი კომპანიების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული სტანდარტის დანერგვა არ იწვევს არსებით განსხვავებას მიმდინარე ან გასული პერიოდების ფინანსურ შედეგსა და წარგდენილ ნაშთებზე.

კლასიფიკაცია და შეფასება.

ფასს 9-ის ფარგლებში, სასესხო ფინანსური ინსტრუმენტები შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. კლასიფიკაცია ორ კრიტერიუმს ეფუძნება: კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების სამართავად გამოყენებული ბიზნეს-მოდელი და განსაზღვრება იმისა, ხომ არ წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტებისთვის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები 'ძირითადი თანხის და პროცენტის ერთპიროვნულ გადახდებს' დაუფარავ ძირ თანხაზე.

ფასს 9-ის კლასიფიცირების და შეფასების მოთხოვნებს არ ჰქონიათ გავლენა კომპანიაზე. ახალი მოთხოვნების საფუძველზე, კომპანია კვლავ ახდენს მისი ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით კლასიფიცირებას.

გაუფასურება.

ფასს 9-ის მიღება ცვლის კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის აღრიცხვას, ბასს 39-ის განცდილი ზარალის მიდგომის მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით ჩანაცვლების გზით. ფასს 9 კომპანიისგან მოითხოვს აღიაროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველა ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. ჯგუფში შემავალი კომპანიების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნული სტანდარტის დანერგვა არ იწვევს არსებით განსხვავებას მიმდინარე ან გასული პერიოდების ფინანსურ შედეგსა და წარგდენილ ნაშთებზე.

ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშერკულებებიდან

2014 წლის მაისში გამოცემული და 2016 წლის აპრილში შეცვლილი ფასს (IFRS) 15 განსაზღვრავს ხუთსაფეხურიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. სტანდარტი არ ახდენს გავლენას კომპანიის შემოსავლის ძირითად ნაწილზე, შედეგად, ფასს (IFRS) 15-ის მიღებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასიკ ინტერპრეტაცია 22 - ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად

ამ ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არა ერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ამ ინტერპრეტაციას გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბასს 40 - ის ცვლილება - საინვესტიციო ქონება

ცვლილებები განმარტავს, როდის უნდა გადაიტანოს საწარმომ ქონება, მათ შორის, სამშენებლო ან მოწყობითი სამუშაოების პროცესში მყოფი, საინვესტიციო ქონებაში ან საინვესტიციო ქონებიდან. ცვლილებების მიხედვით, მიზნობრიობის ცვლილება ხდება მაშინ, როდესაც ქონება აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და არსებობს დანიშნულების შეცვლის მტკიცებულება. მხოლოდ ხელმძღვანელობის მიერ ქონების ექსპლუატაციის განზრახვის ცვლილება არ წარმოადგენს ქონების დანიშნულების შეცვლისთვის საკმარის მტკიცებულებას. მოცემულ ცვლილებას გავლენა არ აქვს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3.17. ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური ან წინსწრებით დანერგილი

ფასს (IFRS) 16 იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასს (IFRIC) 4-ს „როგორ განსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთ საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად.

სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით).

საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების სამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ცვლილებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში

ცვლილებები ეხება აქტივის მიწოდების ან შეტანის აღრიცხვას ინვესტორსა და მის მეკავშირეს ან ერთობლივ საწარმოს შორის. ცვლილება სპეციფიკურად განიხილავს ოპერაციის შედეგად მიღებული მოგება ზარალის აღრიცხვას. საბჭოს მიერ არ არის დადგენილი ცვლილების ეფექტურობის თარიღი თუმცა დაშვებულია ამ ცვლილებების ადრეული გამოყენება. კომპანიის მენეჯმენტს ჯერ არ შეუფასებია ამ სტანდარტთან დაკავშირებული ეფექტი რა გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალში.

შენიშვნა 4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობა	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა დანადგარები	ავეჯი, საოფისე მოწყობილობები და სხვა ინვენტარი	სულ
ბალანსი 2017 წლის 01 იანვარი:	16,655,160	5,509,801	3,922,838	31,167,957	1,274,321	58,530,077
შეძენა	1,126,552	131,759	114,553	1,959,000	162,218	3,494,082
გაყიდვა	(4,160)	(336,585)	(238,891)	-	-	(579,636)
ცვეთა	-	(385,779)	(797,021)	(4,954,022)	(357,932)	(6,494,754)
გასვლა	-	41,793	69,892	-	-	111,685
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	17,777,552	4,960,989	3,071,371	28,172,935	1,078,607	55,061,454
თვითღირებულება	17,777,552	5,591,525	4,615,755	37,733,027	1,739,309	67,457,168
დაგროვილი ცვეთა	-	(630,536)	(1,544,384)	(9,560,092)	(660,702)	(12,395,714)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბერი	17,777,552	4,960,989	3,071,371	28,172,935	1,078,607	55,061,454
შეძენა	500,553	5,243,101	393,800	1,390,936	375,712	7,904,102
გაყიდვა	(1,706,078)	(281,275)	(21,545)	(56,586)	-	(2,065,484)
ცვეთა	-	(540,158)	(794,880)	(5,026,434)	(355,002)	(6,716,475)
გასვლა	-	29,865	28,163	26,946	-	84,974
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	16,572,028	9,412,522	2,676,909	24,507,797	1,099,317	54,268,573
თვითღირებულება	16,572,028	10,553,351	4,988,010	39,067,377	2,115,021	73,295,787
დაგროვილი ცვეთა	-	(1,140,829)	(2,311,101)	(14,559,580)	(1,015,704)	(19,027,214)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	16,572,028	9,412,522	2,676,909	24,507,797	1,099,317	54,268,573

შენიშვნა 5. მარაგები

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
სამშენებლო მასალები	2,338,945	2,614,446
ნედლეული	846,322	832,997
საწვავი	868,769	362,875
სხვა მასალები	-	125,077
სულ მარაგები	4,054,036	3,935,395

შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
სავაჭრო მოთხოვნები	9,420,094	9,187,497
სავაჭრო მოთხოვნების საექვო ვალი	(9,216,349)	(9,187,497)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	203,745	-
ავანსები	944,140	5,034,133
ავანსების საექვო ვალი	(576,125)	(576,125)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	571,760	4,458,008

შენიშვნა 7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
საბანკო ნაშთები ადგილობრივ ვალუტაში	8,069,977	39,283,527
საბანკო ნაშთები უცხოურ ვალუტაში	206,536	-
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8,276,513	39,378,711

შენიშვნა 8. საწესდებო კაპიტალი

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
ბალანსი 1 იანვრის მდგომარეობით	910,147,042	839,544,044
საწესდებო კაპიტალის ზრდა:		
ფულადი სახსრების შემოტანები	535,928	67,080,090
არაფულადი სახსრების შემოტანები	18,090,141	31,643,272
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(21,433,247)	(28,120,364)
სულ საწესდებო კაპიტალი	907,339,864	910,147,042

შენიშვნა 9. სესხები

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
სესხები ფინანსთა სამინისტროსგან	-	-
სულ გრძელვადიანი სესხები	-	-
სესხები ფინანსთა სამინისტროსგან	12,472,816	11,098,504
სულ მოკლევადიანი სესხები	12,472,816	11,098,504
სულ სესხები	12,472,816	11,098,504

შენიშვნა 10. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	ვადიანი სესხები
ბალანსი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	10,158,696
პროცენტი	10,000
ჯარიმა	929,808
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,098,504
პროცენტი	-
ჯარიმა	1,374,312
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,472,816

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2017	31-დეკ-2017
სავაჭრო ვალდებულებები	2,228,442	3,269,974
მიღებული ავანსები	641,063	977,892
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	216,007	201,903
გადასახდელი ხელფასები	63,922	86,356
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,149,434	4,536,125

შენიშვნა 12. შემოსავალი

	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი სადრენაჟო და საირიგაციო მომსახურებიდან	4,047,082	3,476,422
შემოსავალი ტექნიკური წყლის და ჰესებზე გაყიდული წყლიდან	1,189,216	1,775,663
სულ შემოსავალი	5,236,299	5,252,085

შენიშვნა 13. სხვა შემოსავალი

	2018 წელი	2017 წელი
მთავრობისგან მიღებული სუბსიდია	14,932,793	13,618,495
შემოსავალი ჯარიმებიდან და საბანკო გარანტიებიდან	754,368	1,851,830
შემოსავალი იჯარიდან	249,459	115,279
სხვა	266,192	136,594
სულ სხვა შემოსავალი	16,202,813	15,722,198

შენიშვნა 14. მომსახურება

	2018 წელი	2017 წელი
რემონტის და შენახვის ხარჯი	1,987,567	2,106,883
დაცვის მომსახურება	125,420	290,001
საკონსულტაციო მომსახურება	59,715	255,070
მონაცემთა ბაზის მომსახურება	165,978	139,332
სადაზღვეო მომსახურება	92,443	134,795
სატექნოლოგიური მომსახურება	205,276	124,540
სხვა	258,324	160,874
სულ მომსახურება	2,894,723	3,211,495

შენიშვნა 15. გამოყენებული ნედლეული

	2018 წელი	2017 წელი
საწვავი	1,162,393	1,270,996
ნედლეული	554,986	369,310
ავტომობილების მოვლა-შენახვისთვის გამოყენებული ნედლეული	309,746	144,697
სხვა	101,860	114,397
სულ გამოყენებული ნედლეული	2,128,984	1,899,400

შენიშვნა 16. შრომის ანაზღაურება

	2018 წელი	2017 წელი
ხელფასები	14,393,509	13,932,965
ბონუსები	1,514,505	1,111,882
სულ შრომის ანაზღაურება	15,908,014	15,044,847

შენიშვნა 17. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2018 წელი	2017 წელი
კომუნალური ხარჯი	2,942,398	2,453,402
სხვა საგადასახადო ხარჯი	503,751	1,094,192
საექვო ვალი	28,852	563,253
მარაგების დანაკლისი	-	309,489
მივლინების ხარჯი	132,001	191,762
ბანკის საკომისიო	37,779	56,395
სხვა	186,144	254,949
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	3,830,925	4,923,442

შენიშვნა 18. ფინანსური ხარჯი

	2018 წელი	2017 წელი
საპროცენტო ხარჯი	-	10,000
ჯარიმები დაგვიანებულ გადასახდელებზე	1,374,313	929,808
სულ ფინანსური ხარჯი	1,374,313	939,808

შენიშვნა 19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების კომპანიაების მიხედვით:

	31-12-18	31-12-17
დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	203,745	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		
საბანკო ნაშთები	8,069,977	39,283,527
საკრედიტო რისკის მაქსიმუმი	8,273,722	39,283,527

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცევითი ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების კომპანიების მიმართ აღებული რისკისდ მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს სავაჭრო დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობასა და წარსულში არსებულ ნაშთებს.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, და დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები არსებითად დენომინირებულია ქართულ ლარში და შესაბამისად არ ექვემდებარება მნიშვნელოვან სავალუტო რისკებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება იმ ცვლილებების შედეგებს, რომელსაც ადგილი აქვს გავრცელებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში მისი ფინანსური მდგომარეობისა და ფულადი ნაკადების მიმართ. კომპანიის პროცენტიანი აქტივები მოიცავს ბანკის ვადიან დეპოზიტებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი უმთავრესად განპირობებულია სესხით სარგებლობასთან. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული სესხების შედეგად კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რეალური ღირებულების რისკს.

კომპანიის არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს რისკი უმნიშვნელოა კომპანიის საქმიანობისათვის. თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი სჯობია კომპანიისთვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით, თუ ცვლადი განაკვეთი.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირის დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიის ყოველდღე უკავშირდება კომპანიის არსებული ფულადი სახსრების რესურსების შესახებ. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მოცემული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადებს.

უცხო ვალუტაში გადახდები გადაანგარიშებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სპოტ გაცვლითი კრუსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	სესხები სახელმწიფოსგან	სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	სულ
31/12/2018:			
მოთხოვნისთანავე და 6 თვემდე	12,472,816	2,228,442	14,701,258
3-დან 12 თვემდე	-	-	-
12 თვიდან 2 წლამდე	-	-	-
2-დან 5 წლამდე	-	-	-
სულ 31.12.2018	12,472,816	2,228,442	14,701,258
31/12/2017:			
მოთხოვნისთანავე და 6 თვემდე	11,098,504	3,269,974	14,368,478
3-დან 12 თვემდე	-	-	-
12 თვიდან 2 წლამდე	-	-	-
2-დან 5 წლამდე	-	-	-
სულ 31.12.2017	11,098,504	3,269,974	14,368,478

კაპიტალის მართვა კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, ფუნქციონირება, რათა აქციონირებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს აქციონერებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს აქციონერებს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

შენიშვნა 20. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. ჯგუფის (და მშობელი კომპანიის) ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში.

2018 წლის 1 იანვრამდე ფასს 9 დანერგვამდე - შეფასების მიზნით ბასს 39-ში, ფინანსური აქტივები: აღიარება და შეფასება, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) სესხები და დებიტორული დავალიანება; (ბ) გა-სა-ყი-დად არ-სე-ბუ-ლი ფი-ნან-სუ-რი აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები; და (დ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით. რეალური ღირებულებით მოცემულ ფინანსურ აქტივებს, მოგების ან ზარალის კატეგორიის მიხედვით, გააჩნიათ ორი ქვეკატეგორია: (ი) ამგვარად კლასიფიცირებული აქტივები მათი საწყისი აღიარებისას და (იი) ისინი, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ქონდა სესხებად და დებიტორული დავალიანებად.

	31 დეკემბერი 2018 წ.	31 დეკემბერი 2017 წ.
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	8,069,977	39,283,527
- სავაჭრო დებიტორული დავალიანება	203,745	-
სულ ფინანსური აქტივები	8,273,722	39,283,527
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	2,228,442	3,269,974
- ნასესხები საშუალებები	12,472,816	11,098,504
სულ ფინანსური ვალდებულებები	14,701,258	14,368,478

შენიშვნა 21. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

About Baker Tilly

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.



Contact us

Baker Tilly Georgia LLC
BC Menteshvili Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge